Tamaz Tkemaladze
TV host and journalist,
Honorary citizen of Tbilisi (2017),
The best teacher of Georgia (1989),
Knight of the Order of Merit (2019),
Merited Journalist of Georgia (2014)

THE SEIZED GRAVE OF CAPT. GELOVANI

(Abstract)

KEYWORDS: Mirza Gelovani, Repatriation, War Poetry, Mass Graves, Identification, Transnational Identity, Georgia, WWII

Despite 42 years of dedicated efforts, the Georgian people and government have been unable to repatriate the remains of Captain Mirza Gelovani (1917-1944), a renowned Georgian poet and World War II hero. On 26 June 1944, just ten months before the end of the war, this talented poet and noble warrior died heroically while fighting the Nazi German forces in Belarus.

For 19 years, Mirza Gelovani's grave was considered missing. On 13 June 1963, a letter arrived in an eastern Georgian town addressed to Eva Manchurishvili, the poet's mother. The letter, sent by Belarusian students, informed her that they had been caring for Mirza's grave in their village and requested details about his life before World War II. The Gelovani family was eager to bring Mirza back to his homeland, as this was his well-known wish. However, the Belarusian regional authorities refused to grant the necessary official permission for the repatriation of his remains.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

At the end of August 1979, I was assigned by Georgian State Television, along with film director Tamila Patashuri and cameraman Vladimir Medvedev, to travel to Belarus on a business trip to create a documentary about Mirza Gelovani. From that day on, my lifelong mission to repatriate the remains of this Georgian veteran of World War II to his beloved homeland began, despite the ongoing opposition from the Belarusian government.

The primary reason for the refusal to allow the disposition of the body is the unfounded belief among Belarusian officials that it would be impossible or difficult to locate the remains in a mass grave. In 1979, local villagers confirmed that Captain Gelovani was buried just ten steps away from the burial site of the other victims of Belarus' Liberation, who attempted to cross the Western Dvina River under heavy enemy fire on 26 June 1944. He was buried a short distance from the memorial by a Belarusian family, with whom Mirza had lived for three months while his battalion awaited the signal to start crossing the river. This host family had befriended the young Georgian, treating him as one of their own, like a blood relative. After the battle, they searched for him among the fallen warriors and carried his body for nearly two miles to give him a dignified burial in a separate grave at the village cemetery. They acted as they would for their own family member and continued to care for his grave for many years.

Mirza Gelovani, a well-respected young Georgian poet before the outbreak of World War II, wrote in one of his letters to his sister Rowena that the thought of returning to his homeland someday helped him maintain his spirits amidst the horrors of war. This

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

enduring desire to return home after victory resonates in every poem he sent back from the frontlines.

Captain Gelovani's grave in his native Georgia serves as a symbolic resting place for the 300,000 Georgian soldiers, who represent 8.5 per cent of Georgia's population in 1939, who are buried in mass graves across the former battlefields of World War II in Eastern Europe. Unfortunately, not all 300,000 Georgian soldiers who lost their lives in the war could be repatriated and reburied in their homeland. If Mirza Gelovani's tomb were located in Georgia, the Georgian people could symbolically honour all the Georgian warriors who fought against Nazi Germany and sacrificed their lives for the victory of good over evil in the world.

It is disappointing that Captain Gelovani's remains have not yet been returned to his homeland. Some Belarusian military veterans even believe that he belongs equally to both Georgia and Belarus because he died on their territory.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

თამაზ ტყემალაძე
ტელეწამყვანი და ჟურნალისტი,
ღირსების ორდენის კავალერი (2019),
თბილისის საპატიო მოქალაქე (2017),
საქართველოს საუკეთესო მასწავლებელი (1989),
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი (2014)

მიტაცებული საფლავის სევდა

საკვანძო სიტყვები: მირზა გელოვანი, რეპატრიაცია, ომის პოეზია, მასობრივი სამარხები, იდენტიფიკაცია, ტრანსნაციონალური იდენტობა, საქართველო

ქართველთა მცირე, თვითკრიტიკული ნაწილი ხშირად ვწუხვართ, რომ ხან სიცოცხლეშივე ვერ ვაფასებთ გამორჩეულ თანამემამულეს, ხანაც მარადიულობაში გადასულ ჩვენიანზე ზრუნვა და პატივისცემა ვერ გამოგვდის სათანადოდ. თუმცა, შინაგანი პროტესტი უკვე პირველი ნაბიჯია, ხოლო სურვილის გაჩენა – საქმის ნახევარი. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ პერიოდულად ვახერხებთ გააქტიურებას და უაღრესად კეთილშობილური ქართული იდეების ხორცშესხმის მცდელობა ზოგჯერ ბოლომდეც მიგვყავს.

ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში განხორციელდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის ორი მებრძოლი მამულიშვილის, ორი ეროვნული გმირის სამშობლოში გადმოსვენების ორგანიზება.

გენერალი გიორგი კვინიტაძე[1] (1874-1970), რომელმაც უკანასკნელ წუთამდე იბრძოლა საქართველოს მთლიანობის, ქართული მიწის შენარჩუნებისთვის და საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ პროფესიული ნიჭი, ძალ-ღონე არ დაიშურა, 2021 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს დამსახურებული სამხედრო პატივით დავკრძალეთ მთაწმინდის პანთეონში.[2] პანდემიით გამოწვეულმა პრობლემებმაც კი ვერ შეგვიშალა ხელი კეთილი

BRAMS Journal No. 5 ISSN 2667-9299 (print)
2021 Volume 2, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

ნების აღსრულებაში. აღსანიშნავია მისი შთამომავლების თანადგომა ამ მამულიშვილური ნაბიჯის რეალიზებაში.

საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მარადიულ სიმბოლოდ გადაქცეული, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილე, პირველი მსოფლიო ომის ვეტერანი, პოლკოვნიკი ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი[3] (1888-1930), რომელიც 1922-1924 წლებში საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ პარტიზანულ ბრძოლას ხელმძღვანელობდა მის მიერ შექმნილი შეფიცულთა რაზმით,[4] 2005 წლის 23 ნოემბერს მივაბარეთ მთაწმინდის პანთეონში სამუდამო განსასვენებელს. მისი გარდაცვალებიდან 75-ე წლისთავზე აღსრულდა ქართველი გმირი მეომრის ანდერძი.

ეს ორივე შემთხვევა, საერთაშორისო სამართლისა და პოლიტიკის ჩახლართული რეალობის მიუხედავად, საკმაოდ მცირე დროში განხორციელდა მას შემდეგ, რაც წინაპრების საფრანგეთიდან სამშობლოში გადმოსვენების იდეა გაჩნდა.

თუ სურვილია, წინ რაღა დაუდგებაო, ნათქვამია, მაგრამ ზოგჯერ ბედისწერა ჯიუტობს და არ გაცლის. სხვა რითი უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ 42-წლიანი ინტენსიური მცდელობის მიუხედავად, მშობლიური მიწისთვის ვერ დაგვიბრუნებია ქართველი კაპიტანი მირზა გელოვანი. 1944 წლის ივნისში ათი თვეღა რჩებოდა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე, როდესაც ეს დიდებული პოეტი ბელარუსის ტერიტორიაზე ბრძოლისას გმირულად დაეცა.

19 წელი დაკარგულად ითვლებოდა მირზა გელოვანის საფლავი. 1963 წლის 13 ივნისს პოეტის დედის, ევა მაჩურიშვილის სახელზე წერილი მოვიდა: „პატივცემულო ევა იოსების ასულო! ამ წერილს გიგზავნიან რჟავკის საშუალო სკოლის პიონერები. სოფელ სანიკიში[5] სამხედროების სასაფლაოა, სადაც დაკრძალულია თქვენი შვილი, მირზა გელოვანი. ჩვენი სკოლა მის საფლავს უვლის. ყოველწლიურად, 23 თებერვალსა და 9 მაისს ყვავილების

BRAMS Journal No. 5 ISSN 2667-9299 (print)
2021 Volume 2, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

თაიგულები მიგვაქვს გმირის საფლავზე და ვრგავთ ხეებს. ძალიან გვინდა, ძვირფასო ევა იოსების ასულო, რაც შეიძლება ბევრი ვიცოდეთ თქვენს ვაჟზე. გულით გთხოვთ, გვიპასუხოთ“.[6] იმ დროისთვის ქალბატონი ევა უკვე გარდაცვლილი იყო. თუმცა, ცოცხლები იყვნენ მირზას დედმამიშვილები. თეიმურაზ გელოვანმა (მოგვიანებით თიანეთის კულტურის სახლის დირექტორმა) და რუსუდან გელოვანმა ერთხელ კიდეც შეძლეს ბელარუსში წასვლა გმირი ძმის საფლავის სანახავად.[7] მათ ახლდა ახლო ნათესავი, ექიმი ტრისტან ხუციშვილი. მირზას ოჯახის წევრებს მისი სამშობლოში გადმოსვენება ძალიან სურდათ, მაგრამ ბელარუსის რაიონული ხელმძღვანელობა ამის წინააღმდეგი იყო.

1979 წლის აგვისტოს მიწურულს საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიიდან რეჟისორ თამილა პატაშურსა და ოპერატორ ვლადიმერ (ვალოდია) მედვედევთან ერთად მიმავლინეს მირზა გელოვანზე დოკუმენტური ფილმის გადასაღებად. იმ დროს სოფელ სანიკიდან 150 კმ მანძილზე, სმოლენსკის ოლქის დაბა დესნაგორსკში იმყოფებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე შრომითი სემესტრის გაერთიანებული სამშენებლო რაზმი, რომელიც ატომური ელექტროსადგურის მშენებლობაზე მუშაობდა. თსუ სასწავლო-სამეცნიერო კინო-ტელელაბორატორიის თანამშრომლები: ჟურნალისტი ვახტანგ კობაიძე, ოპერატორები იური მერაბოვი და ალექსანდრე (საშა) უნაფქოშვილი უკვე მეორე ფილმს იღებდნენ ქართველი სტუდენტების „ყამირზე“ მუშაობის შესახებ. სამშენებლო რაზმში ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებიც იმყოფებოდნენ თეიმურაზ (თემურ) ჟღენტის ხელმძღვანელობით. ჩვენი დოკუმენტური ფილმის სცენარის თანახმად, ტელევიზიის გადამღებ ჯგუფს თან უნდა გვხლებოდნენ სტუდენტი ფილოლოგები და სწორედ ამასთან დაკავშირებით ჩავაკითხეთ მათ დესნაგორსკში. იქედან რამდენიმე საათის სავალზე იყო ვიტებსკის ოლქის ბეშენკოვიჩის რაიონის სოფელი სანიკი, სადაც ქართველი პოეტის საფლავი გვეგულებოდა. უდროოდ დაღუპული

BRAMS Journal No. 5 ISSN 2667-9299 (print)
2021 Volume 2, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

ჩვენი თანამემამულის ხსოვნისადმი პატივის მიგების მეორე შანსი როდის მიეცემოდათ თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებს, ძნელი სათქმელი იყო. ცხადია, მაშინვე დაგვთანხმდნენ წამოსვლაზე. რუსეთიდან ბელარუსში დილაადრიან გავემგზავრეთ ავტობუსით. სანიკიში თან წავიღეთ გვირგვინები და ქართული პურმარილი. ნახევარ საათში მივედით რუსეთ-ბელარუსის პირობით საზღვართან, რომელიც შეუჩერებლად გავიარეთ, ხოლო ვიტებსკიდან უკვე ორ საათში სოფელ სანიკიში ვიყავით.

საძმო სასაფლაოსა[8] და სოფელს შორის შარაგზა გადის. მის გასწვრივ სოფლური სახლების მწკრივია. იქვეა რჟავკის სკოლა. გზის გადმოღმა საძმო საფლავია ზედ ტიპური, არაფრით გამორჩეული მონუმენტით. ათიოდე ნაბიჯზე სამი დიდი არყის ხეა. ობელისკზე საძმო საფლავში დაკრძალულთა გვარ-სახელებია მითითებული. სიაში მე-15 მირზა გელოვანია.[9] 1979 წელს იგი რიგით ჯარისკაცად იყო მოხსენიებული, 2017 წელს ეს შეცდომა გასწორდა და ახლა კაპიტნის ჩინით წერია.

მაშინ ასე ვიცოდით და დღესაც ინტერნეტსა თუ ნებისმიერი სახის ლიტერატურაში ხშირად წერია, რომ მირზა გელოვანი საძმო საფლავშია დაკრძალული, რაც მცდარია. სიმართლე სრულიად მოულოდნელად გაირკვა 1979 წლის აგვისტოს იმ დღეს, სანიკიში რომ ჩავედით. ჯერ საძმო საფლავი გავასუფთავეთ, მერე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოდან წაღებული ქართული მიწა მოვაბნიეთ. ორლიტრიანით ქართული შავი ღვინო გვქონდა, რომლითაც შესანდობარი შევსვით და ჭიქა წავუქციეთ დიდ პოეტს.

როდესაც ჩვენი გადამღები ჯგუფი ობელისკთან შეჯგუფდა, სოფლის ერთ-ერთი კოხტა სახლიდან სანდომიანი სახის, ტანსრული ქალბატონი, მამაკაცი და ბიჭუნა გამოვიდნენ. ისინი ჩვენი ვიზიტის მიზეზით დაინტერესდნენ. ავუხსენით. უცნობი ქალბატონი მოულოდნელად აღელდა და თვალცრემლიანმა გვიამბო მანამდე ჩვენთვის სრულიად უცნობი დეტალები.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

1944 წელს ფაშისტებისგან უკვე გათავისუფლებულ მათ სოფელში საბჭოთა ჯარის ნაწილები იდგა. მეომრები ადგილობრივების ოჯახებში ჩაასახლეს დროებით. სამხედრო ნაწილი სოფლიდან რამდენიმე კილომეტრში მდინარე დასავლეთ დვინის გადასალახად ემზადებოდა. სანამ ბრძანებას ელოდებოდნენ, მირზა გელოვანი ამ ქალბატონის ოჯახში ცხოვრობდა და საოჯახო საქმიანობაშიც ეხმარებოდა. სულ მოკლე ხანში ქართველი ახალგაზრდა ღვიძლ ძმასავით შეიყვარა ბელარუსების ოჯახმა. ჩვენთან მოსაუბრე ქალბატონის დედა, ოჯახის დიასახლისი მირზას თურმე „мой сынок“-ს ეძახდა.

როდესაც გელოვანის ასეული სოფელ სანიკიში გადაიყვანეს, მირზა უკვე კაპიტანი იყო და 43-ე არმიის 66-ე რაზმში[10] სატანკო ბატალიონს მეთაურობდა. ეს ინფორმაცია პირველად სწორედ იმ ოჯახისგან შევიტყვეთ, ვისთანაც ქართველი პოეტი სამი თვე ცხოვრობდა თავისი უკანასკნელი ბრძოლის წინ. მირზა ყველას ძალიან უყვარდა, განსაკუთრებით კი იმ ოჯახის ბავშვებს. პოეტის დაბადებიდან ასი წლისთავზე, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს არქივის მასალებზე დაყრდნობით დადგინდა მირზა გელოვანის წოდება, თანამდებობა და გარდაცვალების თარიღი.[10] ათწლეულების განმავლობაში 19 ივლისი გვეგონა, მაგრამ დოკუმენტების მიხედვით, იგი 1944 წლის 26 ივნისს დაეცა ბრძოლის ველზე მდინარე დასავლეთ დვინაზე განხორციელებული წარმატებული შეტევითი ოპერაციის დროს კოდური სახელწოდებით „ბაგრატიონი“.[6]

მდინარე ჩრდილოეთ დვინაზე ბრძოლის დაწყების წინ ქალები და ბავშვები სოფლიდან გაიყვანეს და იქვე მდებარე ტყეში გახიზნეს უსაფრთხოების მიზნით. ისინი მხოლოდ სამი დღის შემდეგ დააბრუნეს სანიკიში.

მდინარის გადალახვისთვის მძიმე ბრძოლის გადატანა მოუხდა ბატალიონს. უმეტესობა მტრის ტყვიას ემსხვერპლა. როდესაც დაჭრილები და დაღუპულები ბრძოლის ველიდან გამოჰყავდათ, ამ ქალბატონმა და მისმა დამ მირზას ცხედარი მოძებნეს, საკაცით ჩამოიყვანეს თავიანთ სოფელში, გააპატიოსნეს და განცალკევებით დაკ-

რძალეს. რადგან ისინი მირზას საკუთარი ოჯახის წევ-
რად თვლიდნენ, საერთო სამარხისთვის ვერ გაიმეტეს.
საძმო საფლავის სიაში იმიტომ მოხვდა, რომ იმ ბრძოლა-
ში დანარჩენებთან ერთად დაიღუპა. მირზას საფლავის-
თვის ხელი არავის უხლია 1953 წელს და არყის მაღალი
ხეების ჩრდილში დღემდე განისვენებსო, დაბეჯითებით
გვითხრა იმ ქალმა. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონ-
და, რადგან ასეთ გამართლებას არანაირად არ ველო-
დით. ეს ნამდვილი ბედის საჩუქარი იყო.

1979 წლის აგვისტოსთვის ჩვენთან მოსაუბრე ქალ-
ბატონის დედა და და უკვე გარდაცვლილი იყვნენ. იგი
თავის ქმართან ერთად ჭირისუფლობდა ქართველ პოეტ-
კაპიტანს და მის საფლავს ნათესავივით პატრონობდა.
მირზა გელოვანის საფლავთან ამოზრდილი მაღალი არ-
ყის ხეც მათი დარგული აღმოჩნდა.[11] ადგილობრივმა
ქალბატონმა არ დაიზარა, 2 კმ-მდე მანძილზე წაგვყვა და
მდ. დასავლეთ დვინის ნაპირთან ის ადგილიც გვაჩვენა,
სადაც გარდაცვლილი კაპიტანი გელოვანი იპოვეს მან,
დედამისმა და მისმა დამ. თურმე, როცა სასიკვდილოდ
დაიჭრა, მარჯვენა გვერდზე დაცემულა.

ბელარუსის ველ-მინდვრები მოფენილი იყო საბჭოთა
ჯარისკაცების საფლავებით. ხალხი მათ კრძალვით უვ-
ლიდა გვერდს, ზოგიერთზე კი განსაკუთრებულად ზრუ-
ნავდა. ასეთმა დამოკიდებულებამ საბჭოთა ცენტრალური
ხელისუფლების გულისწყრომა გამოიწვია, რადგან საფ-
ლავის ჯვრებით გადავსებულ ტერიტორიას სახნავ-სათე-
სად ვერ იყენებდა. სტალინმა გამოსცა განკარგულება,
რომლის თანახმადაც დაღუპულ ჯარისკაცთა ძვლები უნ-
და ამოეთხარათ და ყველა მათგანი საერთო საძმო საფ-
ლავში გადაეტანათ.[12] ოჯახმა, რომელიც მირზა გელოვა-
ნის საფლავს უვლიდა, არ გაამხილა მისი ადგილ-სამყო-
ფელი, ქართველის ნეშტი რომ არ გაბნეულიყო და სამუ-
დამოდ არ დაკარგულიყო მრავალთა შორის.[13] ადგილობ-
რივმა ქალბატონმა ჩემთან საუბარში აღნიშნა, რომ მირ-
ზას საფლავი ათიოდე ნაბიჯით იყო დაშორებული №4025
საძმო განსასვენებლიდან. ეს უკიდურესად მნიშვნელოვა-

BRAMS Journal No. 5 ISSN 2667-9299 (print)
2021 Volume 2, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

ნი ფაქტია, რადგან ბელარუსის მთავრობის უმთავრეს არგუმენტს, რის გამოც ვერა და ვერ ხერხდებოდა ქართველი პოეტი-კაპიტნის გადმოსვენება, წარმოადგენდა საერთო სამარხში მისი პოვნის სირთულე. დანარჩენი მიცვალებულების ცხედრებს ერთის გამო ვერ შევაწუხებთო, ამბობდნენ ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები.

ამას გარდა, პრობლემას ისიც ქმნის, რომ ბელარუსი სამხედროების მტკიცებით, მირზა გელოვანი მათ ქვეყანასაც ისევე ეკუთვნის, როგორც საქართველოს, ვინაიდან იგი ბელარუსის ფაშისტებისგან გაწმენდის მცდელობისას დაიღუპა, როგორც საბჭოთა არმიის მებრძოლი. მათ მილიტარისტულ აზროვნებაში არანაირი პრიორიტეტი არ ენიჭება იმ უაღრესად განსაკუთრებულ ფაქტს, რომ მირზა გელოვანი ერთ-ერთი შესანიშნავი ქართველი პოეტია და მისი ერის ღვიძლი შვილი სწორედ ამ ნიშნით, მისი პოეტური დამსახურების გამოა დასაფასებელი. მეორე მსოფლიო ომის ქარცეცხლსა და მაშინდელი მოძმე საბჭოთა რესპუბლიკის საერთო მტრისგან გათავისუფლებას არ უნდა შესწირვოდა 27 წლის მწერალი. თუმცა, ეს სულ სხვა განსჯის თემაა.

სამშობლოში როგორც კი დავბრუნდი, დიდი წერილი დავბეჭდე გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ ამ ყველაფერზე და დეტალურად აღვწერე.[14] ძალიან დიდი გამოხმაურება მოჰყვა ქართულ საზოგადოებაში, მაგრამ მერე მუხტი ჩაქრა, რადგან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა დაიწყო და, ცხადია, ისეთი სიტუაცია იყო, რომ არავის ეცალა სხვა რამისთვის საქართველოს დამოუკიდებლობის დაბრუნების გარდა. 30 წელიწადზე მეტი ისე გავიდა, არანაირი ინფორმაცია არ გაგვაჩნდა მირზა გელოვანის საფლავის მდგომარეობასთან დაკავშირებით.

2013 წელს ბელარუსში გასტროლებზე მიდიოდა ანსამბლი „ქართული ხმები“. მე მათ დეტალური რუკა დავუხატე, თუ სად იყო მირზა გელოვანის საფლავი: ობელისკიდან ცხრა ნაბიჯი უნდა გადათვალოთ და მეათეზე სამი დიდი არყის ხეა, ორ მათგანს შორის დაკრძალული

BRAMS Journal No. 5 ISSN 2667-9299 (print)
2021 Volume 2, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

უნდა დახვედროდათ გმირი ქართველი. ჩვენმა ბიჭებმა მინსკიდან ვიტებსკში ჩავლა არ დაიზარეს, იქ ადგილობრივ ხელმძღვანელობას გააგებინეს თავიანთი ვიზიტის მიზანი და დიდი ამალით ესტუმრნენ სოფელ სანიკის. ზურა ჩხაიძეს წაღებული ჰქონდა თავისი კახური ტრადიციული მეღვინეობის ნიმუშები და ხალხს დაურიგა.

როდესაც ქართველები ძმათა სასაფლაოსთან იდგნენ, ასაკში შესული ერთი კაცი მივიდა მათთან და ისე, რომ მისთვის არავის არაფერი უკითხავს, ჩვენებს მიუთითა: მირზა გელოვანი აი, ამ ადგილას არის დაკრძალული. ბიჭებმა ჰკითხეს, საიდან ჰქონდა ეს ინფორმაცია. მამაკაცმა განაცხადა, რომ დედამისმა და დეიდამისმა დაკრძალეს ბრძოლაში დაღუპული მირზა. 2013 წლისთვის ორივე და უკვე გარდაცვლილი იყო. ჩვენებმა ფოტოები გადაიღეს და ქართული სიმღერები იმღერეს.[9] ოფიციალურად მეტი ვერაფრის გაკეთება მოხერხდა მაშინ, მაგრამ ქართველი მომღერლების მონდომების წყალობით, უმნიშვნელოვანესი შედეგი მივიღეთ. ეს ფაქტი იმით იყო ღირსშესანიშნავი, რომ ამდენი წლის შემდეგ დოკუმენტირებულად გვქონდა ცნობა, რომ მირზა გელოვანის საფლავი ძველებურად არსებობდა იქ, სადაც მადლიანი ბელარუსების ოჯახმა დაკრძალა.

ჩემთვის პირადად, ყოველთვის ნომერი პირველი იყო მირზა გელოვანის გადმოსვენების საკითხი, მაგრამ საზოგადოებრივი ყურადღება და ინტერესი ხან იზრდებოდა, ხანაც მინავლდებოდა უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში.

2015 წელს საქართველოს მაშინდელი მთავრობა სერიოზულად დაინტერესდა ამ დილემის პოლიტიკურად მოგვარებით. საქმეში აქტიურად იყო ჩართული თბილისის მერია და საკრებულო.[15] თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ, გია ალიბეგაშვილმა და დედაქალაქის მერმა, დავით ნარმანიამ რამდენიმე თათბირი ჩაატარეს სპეციალურად მირზა გელოვანის გადმოსვენების საკითხთან დაკავშირებით. გაიმართა არაერთი შეხვედრა დიპლომატიური და იურიდიული საკითხების მოგვარების

BRAMS Journal No. 5 ISSN 2667-9299 (print)
2021 Volume 2, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

მიზნით. ბელარუსის პრეზიდენტი ქართველი პოეტის გადმოსვენების წინააღმდეგი იყო იმიტომ, რომ მისი ინფორმაციით, მირზას ნეშტი საძმო საფლავში იმყოფებოდა. რეალურად, ეს პრობლემა არ არსებობს და ჩვენ არ ვაპირებთ საძმო საფლავს შევეხოთ. ჩვენი მიზანია ათიოდე ნაბიჯზე მითითებული ადგილიდან მირზა გელოვანის განსასვენებლის გახსნა და მისი სამშობლოში გადმოსვენება.

2015 წლის მარტის დასაწყისში საქართველოსა და ბელარუსის ვეტერანთა ორგანიზაციები აქტიურად თანამშრომლობდნენ მირზა გელოვანის გადმოსვენების საკითხთან დაკავშირებით.[16] მათი თავმჯდომარეების ურთიერთშეთანხმების შემდეგ, იურიდიულად უნდა გაფორმებულიყო პროცესი. ბოლო ეტაპზე უკვე ორ სახელმწიფოს შორის უნდა მომხდარიყო შეთანხმება. ბელარუსის პრეზიდენტს, ალექსანდრე ლუკაშენკოს არა მხოლოდ ქართველმა ჟურნალისტებმა და აქტივისტებმა ვთხოვეთ მამულიშვილური ვალის აღსრულებაში დაგვხმარებოდა. საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლის, ზაქარია ქუცნაშვილის განცხადებით, ჩვენმა პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმაც დააყენა მირზა გელოვანის გადმოსვენების საკითხი პრეზიდენტ ლუკაშენკოსთან ოფიციალური შეხვედრისას.[17] ამ დონის დიპლომატიური ჩარევის გამო, დიალოგების შედეგს დიდი იმედით ველოდით.

ულამაზესი სცენარიც კი დაიწერა, როდის და რაგვარად უნდა შეგებებოდა სამშობლო გმირ პოეტს. საზოგადოებრივი მაუწყებლის დოკუმენტური ფილმების სტუდია დეტალურად გადაიღებდა მთელ პროცესს. მირზა გელოვანის ქუთაისში ჩამოსვენება 8 მაისს უნდა განხორციელებულიყო, ხოლო მეორე დღეს სამხედრო წესის თანახმად მოხდებოდა მისი ბალდახინითა და საპატიო ყარაულით დედაქალაქში გადმოსვენება.[13] მთელი ავტობანის გასწვრივ მოსახლეობა და ქართველ სამხედროთა ყარაული გააცილებდა ჩვენს საამაყო პოეტ-კაპიტანს. პროცესია გაჩერდებოდა სახელმწიფო ტრიბუნის წინ, საიდანაც ქვეყნის ხელმძღვანელობა მიეგებებოდა შინ დაბრუნებულ

BRAMS Journal No. 5 ISSN 2667-9299 (print)
2021 Volume 2, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

მეომარს. ქუთაისიდან დაწყებული მთელი მოვლენის პირდაპირი ეთერით გადაცემა იგეგმებოდა.

მინდოდა, რომ ეს ყოფილიყო ისეთი ამაღელვებელი, როგორც ეკადრება მეორე მსოფლიო ომის გმირს და იმ ქვეყანას, რომელმაც 300 ათასი შვილი დაკარგა ყველა დროის ყველაზე სისხლისმღვრელ ომში. ეს ერთდროულად არის ქართველი ერის ტრაგედიაც და საამაყო ფაქტიც, რადგან ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მამულიშვილური საქციელი იყო, რა კუთხითაც უნდა შევხედოთ მომხდარს. ნებისმიერი პროვოკაციული საუბარი იმის თაობაზე, რომ საბჭოთა ჯარს ვემსახურებოდით ამით, უხეში შეცდომაა. ამერიკის, კანადის, ინგლისისა და სხვა არაერთი ქვეყნის მოკავშირეებიც საბჭოთა არმიის მსახურები გამოვლენ მსგავსი ყალბი აზროვნებით. ცხადია, ეს აბსურდია. ეს იყო მსოფლიო ომი კეთილსა და ბოროტ ძალებს შორის. საქართველო ბოროტების წინააღმდეგ ღირსეულად იბრძოდა და უდიდესი მსხვერპლი გაიღო მომავალი თაობებისთვის. სიკეთის მხარეზე მოუწია ბრძოლა ჩვენს გმირ მირზა გელოვანს, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, თიანეთსა თუ თბილისში პოეზიის სამყაროში დარჩენა ერჩია ტყვიების ზუზუნში სანგარში ყოფნას. ფრონტიდან გამოგზავნილ ლამის ყველა მეორე თუ მესამე წერილში შინ დაბრუნებაზე საუბრობს და ერთი სული აქვს: „ამ ომიდან, ამ გრიგალიდან დავბრუნდები გამარჯვებულ ლაშქართან ერთად“.[18]

რადგან მთაწმინდისა და დიდუბის პანთეონებში დაკრძალვისათვის ადგილი აღარ დარჩა, ქართველი პოეტი-კაპიტანი ახალი პანთეონის პირველი ბინადარი უნდა გამხდარიყო. ქართული მედიასაშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბელარუსის ხელისუფლებასთან შეთანხმება მოხერხდა მირზა გელოვანის ნეშტის გადმოსვენებასთან დაკავშირებით.[16] ის, რაც გადამწყვეტი ფაზა გვეგონა, მორიგი იმედგაცრუებით დასრულდა.

2017 წლის მიწურულს ახალი ტალღა აგორდა,[19] ახალი იმედი გაჩნდა, რომ ამჯერად უკვე საქმის ბოლომდე მიყვანას დაადგებოდა საშველი. ეღირსებოდა გმირ

ქართველს მშობლიურ მიწაში სამუდამო განსასვენებელი. თუმცა, ისევ ისე საპნის ბუშტივით გასკდა და ოცნებების კოშკებივით დაგვემსხვრა ნატვრა. შეიძლება ითქვას, კუს ნაბიჯით მივიწევთ, ოღონდ წინ თუ საით, ამის გარკვევა ჯერჯერობით შეუძლებელია. ამას დრო გვიჩვენებს. 2017 წლის სიახლე ის იყო, რომ ბელარუსის სრულუფლებიან ელჩთან საქართველოში, მიხაილ მიატლიკოვთან მოლაპარაკებები გაიმართა მინსკის ბიბლიოთეკაში მირზა გელოვანის სახელობის ქართული ლიტერატურის კუთხის შექმნის თაობაზე. ინიციატივა ეკუთვნოდა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურ დირექტორს 2012 წლიდან, პოეტსა და პროზაიკოსს, გიორგი კეკელიძეს, რომლის კაბინეტშიც გაიმართა შეხვედრა. საკითხის განხილვას ასევე ესწრებოდნენ ეროვნული ბიბლიოთეკის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კულტურული პროგრამების განყოფილების მთავარი სპეციალისტი გულიკო გორდელაძე და ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელი, ფილოლოგი ნინო სიხარულიძე.[20]

2018 წელსაც ვაქტიურობდით გადმოსვენების საკითხთან დაკავშირებით. მერე კოვიდ-19-ით გამოწვეული პანდემია წამოგვეწია. ეგეც ვერ შეგვაფერხებდა, მაგრამ თავად ბელარუსის რესპუბლიკაში უკიდურესად დაიძაბა პოლიტიკური სიტუაცია. 2020 წლის 9 აგვისტოს საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ქართული სატკივარის მოსმენის თავიც კი არ ჰქონდა ლუკაშენკოს ხელისუფლებას.[21]

წლები გადის, მაგრამ საქმე, ფაქტობრივად, ადგილიდან ჯერაც არ დაძრულა. ცუდად მენიშნა ბელარუსის რესპუბლიკის ვეტერანთა კავშირის ყოფილი თავმჯდომარის, გენერალ-ლეიტენანტ ანატოლი ნოვიკოვის ნათქვამი: „მირზა გელოვანი დღეს როგორც საქართველოს, ისე ბელარუსის შვილია. იგი ჩვენს მოძმე ქვეყნებს თანაბრად ეკუთვნის“.[6] რის საფუძველზე? ბელარუსული ლიტერატურის წარმომადგენელია, „ბებია ჰყავდა“ იქაური თუ მოქალაქეობა გამოიცვალა? მირზა გელოვანი, რომელიც სისხლით ხორცამდე ქართველი პოეტი და ქართული სულის ვაჟკაცი იყო, მთელი ომის მსვლელობისას იმ ფიქრით

უმკლავდებოდა ბრძოლის ქარცეცხლს, რომ სამშობლოში დაბრუნდებოდა. მირზას ხსოვნის შეურაცხყოფაა გენერალ ნოვიკოვისა და მის თანამოაზრეთა[22] პოზიცია. რამდენ რამეს გვედავებიან ქართველებს, ვინ მოთვლის. თითქოს, უნდა შევჩვეოდით ასეთ ჩაგვრასა და უსამართლობას, მაგრამ ეს არაა ის შემთხვევა, როცა დათმობის უფლება გვაქვს. მჯერა, რომ დადგება დღე და ქართველი ჭაბუკი გმირის მიტაცებულ საფლავს დაიბრუნებს საქართველო და მშობელ მიწას მიაბარებს თავის საამაყო პოეტ-კაპიტანს.

მირზა გელოვანის საფლავი მის სამშობლოში ერთგვარი სიმბოლური საფლავიც იქნება იმ 300 ათასი ქართველი ჯარისკაცისა, რომლებიც მეორე მსოფლიო ომში დაიღუპნენ. ბევრი მათგანი ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიებზე საძმო საფლავებშია გაფანტულად დაკრძალული. სხვა ქართველი ჯარისკაცების გადმოსვენება ვეღარ მოხერხდება, რადგან მრავალი წელი გავიდა და ბევრ მათგანს მომკითხავიც აღარავინ დარჩა. ამიტომ, უკიდურესად მნიშვნელოვანია მეორე მსოფლიო ომში პატარა საქართველოს რესპუბლიკის მიერ გაღებული დიდი მსხვერპლის (მოსახლეობის 8.5%) დაფასება სწორედ პოეტი-კაპიტნის გადმოსვენებით სამშობლოში. გულდასაწყვეტია, ეს რომ ვერა და ვერ მოხერხდა აქამდე.

ლიტერატურა ▫ References

1. პაპასკირი ლალი (20 მაისი, 2021), „ეს არის მტერზე გამარჯვების კიდევ ერთი ნიშანი“ – საქართველოს შეიარაღებული ძალების ბოლო მთავარსარდალი პრემიერის ძალისხმევით ქართულ მიწას უბრუნდება, საინფორმაციო პორტალი ambebi.ge.
2. საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს გენერალ გიორგი კვინიტაძის ნეშტს სამშობლოში დაკრძალავენ (26 მაისი, 2021), „იმედი ნიუსი“ [imedinews.ge].
3. ვერულავა თენგიზ (27 მაისი, 2009), ქაქუცა ჩოლოყაშვილი – ბიოგრაფია, ბურუსი [burusi.wordpress.com].
4. ურუშაძე ლევან ზ. (2006), ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ბიოგრაფიისათვის, ჟურნ. „ამირანი“, მონრეალი-თბილისი, XIV-XV, გვ. 147-166 [burusi.wordpress.com/2009/05/13/kakutsa-cholokashvili-2].
5. Деревня Санники [radzima.net/ru/miejsce/sanniki_3.html].

6. დოლიძე ლევან (1 დეკემბერი, 2017), მირზა გელოვანის საფლავზე ბელარუსში მართლმადიდებლური ჯვარი აღმართეს, ჟურნ. „საქართველო და მსოფლიო“ [geworld.ge].
7. 8 მაისს მირზა გელოვანის ნეშტის საქართველოში გადმოსვენებაა დაგეგმილი (2 მარტი, 2015), გადაცემა „ჩვენი დილა“, სტუმარი: თამაზ ტყემალაძე [youtube.com/watch?v=IZcYpUq9d4I].
8. Воинское захоронение №4025 [beshenkovichi.vitebsk-region.gov.by/ru/kniga_pamyati].
9. Он не вернулся из боя: как грузинский поэт объединил народы Грузии и Беларуси (9 May 2021), Sputnik Georgia – все о Грузии [youtube.com/watch?v=5m7UwvUetYY].
10. Геловани Мирзо Гадеенович [pamyat-naroda.ru].
11. კობაიძე ვახტანგ (15 სექტემბერი, 2015), „ჭაბუკად დარჩენილი რაინდი“ – მირზა გელოვანი (აუდიომოგონებები), „Sputnik საქართველო“ [sputnik-georgia.com/20150915/228542436.html].
12. Головкин Николай (31 марта 2004), *Без вести пропавшие и без совести живущие*, Интервью с руководителем поискового центра «Подвиг» Степаном Кашурко, Православие [pravoslavie.ru/4559.html].
13. თბილისში ახალი პანთეონი გაიხსნება, რომლის პირველი საფლავი მირზა გელოვანის იქნება (3 მარტი, 2015) [info9.ge].
14. ტყემალაძე თამაზ (14 სექტემბერი, 1979), გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №37 (868).
15. ახვლედიანი გიო (3 მარტი, 2015), მირზა გელოვანი; „მოქალაქე ჟურნალისტი“ [gioaxvlediani.wordpress.com].
16. მირზა გელოვანის ნეშტს საქართველოში გადმოასვენებენ (3 მარტი, 2015), საინფორმაციო გამოშვება „მოამბე“, პირველი არხი [youtube.com/watch?v=bIAAqSytznw].
17. ლუკაშენკოსთან შეხვედრისას ქართული მხარე მირზა გელოვანის საქართველოში გადმოსვენების საკითხს დააყენებს (23 აპრილი, 2015), მედიაჰოლდინგი „კვირა“ [kvira.ge/172538].
18. ხარშილაძე ირმა (14 ივნისი, 2013), მარად ჭაბუკად დარჩენილი პოეტი-ლეიტენანტი, ჟურნალი „გზა“ [ambebi.ge].
19. „დაიძრა მირზა გელოვანის გადმოსვენების საქმე“ (9 ოქტომბერი, 2017), გაზეთი „ახალი თაობა“ [akhalitaoba.ge].
20. წიკლაური თამარ (1 ნოემბერი, 2017), მოლაპარაკებები ბელარუსის ელჩთან მინსკის ბიბლიოთეკაში მირზა გელოვანის სახელობის ქართული ლიტერატურის კუთხის შექმნის შესახებ, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა [dspace.nplg.gov.ge/handle/1234/236850].
21. ბილანიშვილი გიორგი (24 სექტემბერი, 2020), ბელარუსის საპროტესტო აქციები, ლუკაშენკო და რუსეთის ფედერაცია; რონდელის ფონდის მკვლევარის ბლოგი [gfsis.org/ge/blog/view/1103].
22. Митинг у братской могилы д. Санники 26.06.2020 (28 June 2020), Видео Бешенковичи [youtube.com/watch?v=fbhPKIRE_hU].